პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 256 (5286)

1974 წ. 26 დეკემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI სპარტაკიადა • თბილისი

„განთიადი“ ძლიერი ორგანიზაციაა

თბილისის VI სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდება. ჩასატარებელი დარჩა შეჯიბრებები კიდევ ორ სახეობაში — კრივსა და ტანვარჯიშში. ამ შეჯიბრებათა შედეგები საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერის — „განთიადის“ სპორტული დელეგაციის მდგომარეობას კიდევ უფრო განამტკიცებს, ვინაიდან განთიადელებს კრივშიც და ტანვარჯიშშიც წარმატების დიდი შანსი აქვთ.

ქალაქის სპარტაკიადის პროგრამით 26 სახეობაში დამთავრებული შეჯიბრებების შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში „განთიადს“ 782,5 ქულა აქვს და 38 ქულით ასწრებს „დინამოს“, რომელიც II ადგილზეა. III ადგილზეა „ბურევესტნიკის“ ნაკრები — 629,5. შემდეგი ადგილები ჯერჯერობით ასე ნაწილდება: 4. „სპარტაკი“ — 424,5, 5. ასკ — 350,5, 6. „ლოკომოტივი“ — 214,5, 7. „შრომითი რეზერვები“ — 185 ქულა.

როგორც ცნობილია, დედაქალაქის სპარტაკიადაში თბილისის რაიონების სპორტსმენები პარალელურ ჩათვლას იღებენ. საგრძნობლად დაწინაურდნენ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის წარმომადგენლები, რომლებმაც 23 სახეობის ჯამში 815 ქულა მოაგროვეს. ისინი უახლოეს მეტოქეს — ლენინის რაიონის სპორტსმენებს 275 ქულით ასწრებენ და საერთო გამარჯვება თითქმის უკვე გარანტირებული აქვთ.

შემდეგ ადგილებზე არიან 26 კომისრის სახელობის (404 ქულა), პირველი მაისის (392), ოქტომბრის (296), საჭარხნო (183,0), კალინინის (168,423) და კიროვის (70) რაიონების გუნდები.

სპარტაკიადის პროგრამით მოკრივეთა შეჯიბრება 27-29 დეკემბერს გაიმართება ლენინის სახელობის დარბაზში, ტანმოვარჯიშეები კი ასპარეზობას აპრილში დაამთავრებენ.

ბაკურიანი ირთვება

ბაკურიანს წლევანდელი ზამთრის სპორტულ სეზონშიც გულუხვი მასპინძლობა მართებს. ის იყო დამთავრდა რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე, რომ დაბის სპორტულ ბაზებს რესპუბლიკის ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ნაკრები გუნდები ეწვივნენ. ისინი აქ თავიანთს პირველობებს ატარებენ, რათა საქართველოს პროფკავშირთა IV სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის უძლიერესი სპორტსმენები შეარჩიონ.

9-12 იანვარს ბაკურიანში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე „მფრინავ მოთხილამურეთა“ მორიგი საერთაშორისო ასპარეზობა გაიმართება, 13 იანვრიდან კი გაჩაღდება საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა, რომელსაც საკავშირო თასების გათამაშება, რესპუბლიკის ჩემპიონატი და სხვა შეჯიბრებები მოჰყვება.

ბაკურიანი ემზადება, ირთვება. ამ დღეებშიც ხვავრიელად თოვდა, ვარჯიში კი არ წყდება.

• • •

სურათებზე: 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომისა (ზევით) და კობტაგორაზე გიგანტურ სლალომში ვარჯიშის მომენტები.

ო. გელაშვილის ფოტოები.

გდანსკში საასპარეზოდ

პოლონეთის ქალაქ გდანსკში იწყება ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა კავშირიდან საასპარეზოდ მიწვეული არიან თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელები, რომლებიც გუშინ პოლონეთს გაემგზავრნენ. გუნდის შემადგენლობაში არიან ა. სუციშვილი, ჯ. ბარამიძე, ვ. და გ. ბერიაშვილები, ზ. ბუნაძე, ვ. ჭყონია, ჯ. დვალიშვილი, გ. ნარიმანიძე, ა. ანპილოგოვი, ზ. დოლიძე, ზ. კეკელიძე, ა. ტაბიძე. გუნდის მწვრთნელია წარსულში ცნობილი ხელბურთელი ი. ფხაკაძე. დელეგაციას ხელმძღვანელობს „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ასათიანი. პოლონეთს სამსაჯოდ გაემგზავრა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი თ. ჩხარტიშვილი. ქართველი არბიტრი პოლონეთიდან დაბრუნების შემდეგ მიწვეულია რუმინეთს, სადაც სტუდენტთა გუნდების მსოფლიო პირველობა უნდა გაიმართოს.

ფინალში: ბათუმი — სოხუმი

თბილისში შედგა სტუდენტ ფეხბურთელთა რესპუბლიკური თასის მეორე ნახევარფინალური მატჩი სამედიცინო ინსტიტუტისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდებს შორის. თბილისელებმა თამაში მოიგეს ანგარიშით 3:2. ვინაიდან სოხუმელებმა შინ პირველ შეხვედრაში გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1, ორი მატჩის ჯამში ისინი გავიდნენ ფინალში.

თასის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდები.



სსრ კავშირის ჩემპიონატი

4 ქულა ღიტვაში

ვილნიუსი, 24 დეკემბერი. ლენინგრადის „სპარტაკმა“ წარმატებით ჩაატარა ტურნე ლიტვაში: ორორი შეხვედრა მოუგო „ჟალგირისს“ და „სტატიბას“.

მეორე მატჩში „სტატიბასთან“ ლიდერმა გაიმარჯვა ანგარიშით 84:71 (43:26).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	18	16	2	1523—1263	16
„დინ“ (თბ.)	12	11	1	1075—987	11
„დინ.“ (ვ.)	14	10	4	1198—1062	10
ცსკა	14	10	4	1281—1135	10
„ჟალგირისი“	14	8	6	1161—1155	8
„კალეჯი“	12	5	7	965—955	5
„სტროიტელი“	12	4	8	966—1015	4
რტი	16	3	13	1253—1422	3
„სტატიბა“	14	2	12	1073—1259	2
„ურალმაში“	14	1	13	1110—1352	1

ბაიკალიზმი სწორი ქიმია

ცხინვალი

აქ გაიმართა თბილისისა და ცხინვალის ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი. იგი მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით 4:1.

აღსანიშნავია, რომ თბილისელთა შეკარე რ. ურუშაძემ შეძლო პენალტის მოგერიება.

ვ. მელქოევი.

პოტენციური ლიდერი „ჩაიჭრა“

გუშინწინ თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, გაიმართა I ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ბურევესტნიკსა“ და ნიკოლაევის „სპარტაკს“ შორის. ამ შეხვედრამდე „ბ“ ჯგუფში, სადაც ეს კოლექტივები გამოდიან, ორი ლიდერი იყო — ფაქტიური და პოტენციური.

ფაქტიურ ლიდერს — კიშინიოვის „პოლიტექნიკას“ — 8 თამაშის შემდეგ მოგროვილი აქვს 6 ქულა. პოტენციურმა ლიდერმა — ნიკოლაევის „სპარტაკმა“ კი 4 შეხვედრა ჩაატარა და ოთხივე მოიგო. მართალია, ნიკოლაეველი კალათბურთელები აქამდე მხოლოდ შინ თამაშობდნენ, მაგრამ ტაგანროგის გუნდთან დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ (104:90 და 101:91) მათს შესახებ სპეციალისტებიც ალაპარაკდნენ.

თბილისის მატჩები „სპარტაკის“ პრეტენზიათა სერიოზული შემოწმებაა, მაგრამ პირველი გამოცდა მან ვერ ჩააბარა: დამარცხდა საკმაოდ დიდი ანგარიშით — 82:106 (38:52). ამ შეხვედრის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „ბურევესტნიკმა“ საკალათბურთო ოსტატობის ყველა პუნქტში დაჩაგრა მეტოქე.

როგორ არ ეცადა „სპარტაკი“ მდგომარეობის გამოსწორებას, რა ხერხს არ მიმართა, რათა მეტოქე ამოეგდო ჩვეული რიტმიდან, მაგრამ სულ ამაოდ. თბილისელები თამაშობდნენ ზუსტად, აზრიანად, შთაგონებით და გამარჯვებაც, ცხადია, მათ დარჩათ. ამ წარმატებაში ყველა კალათბურთელმა თანაბარი წვლილი შეიტანა, მაგრამ ორი მათგანი მაინც უნდა გამოვყოთ: ჭეიშვილი, რომელმაც გუნდს 18 ქულა შესძინა, და მიღალაშვილი, რომელმაც 26 ქულა დააგროვა. სტუმრებში ყველაზე შედეგიანი ლატიპოვი იყო — 24 ქულა.

გუშინწინდელი მატჩით „ბურევესტნიკმა“ დაამტკიცა, რომ მას ყველა მეტოქესთან თანაბრად შეუძლია თამაში.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„პოლიტექნიკა“	8	6	2	633—610	6
„სპარტაკი“	5	4	1	461—454	4
ასკ	6	4	2	443—409	4
„ტრუდი“	6	4	2	481—407	4
„ბურევესტნიკი“	7	2	5	488—533	2
„ავანგარდი“	6	1	5	482—549	1
„კრ. კოტელშჩ.“	4	0	4	344—370	0

ორი ფრე

ბერლინში, ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კოლექტივმა ორი შეხვედრა გამართა და ორივე ფრედ დაამთავრა: გდრ-ის ეროვნულ გუნდთან — 23:23, ხოლო რუმინეთის სპორტსმენებთან — 20:20.

მორიგი ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის 35-ე ტირაჟისა, რომელიც 20 დეკემბერს ჩატარდა.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 4652 მანეთია (99 ბილეთი), ოთხისთვის — 67 (6844), სამისთვის — 4 (151302).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (19 ბილეთი), ოთხისთვის — 173 (1236), სამისთვის — 5 (35285).

მოგებული თანხა გაიცემა შემნახველ სალაროებში 1975 წლის 1-დან 30 იანვრის ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟი მოეწყობა 1974 წლის 30 დეკემბერს.

გამოცდას იბარებს სსრ კავშირის თასი

ყოველი ახალი სტარტი სპორტსმენის საბრძოლო მზადყოფნის შემოწმებაა. რაც უფრო საპასუხისმგებლოა შეჯიბრება, მით უფრო სრულად ვლინდება სპორტსმენის მომზადების დონე და ოსტატობა. საგაზაფხულო სეზონისთვის მოცურავეთა მზადყოფნის შემოწმების ახალმა დებულებამ შეცვალა ერთ-ერთი უდიდესი შეჯიბრების — საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების წესი.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენს უწყებებისა და სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების თასზე წინასწარ შეჯიბრებებში მრავალჯიდის ოთხი სავალდებულო დისტანციის ჯამში უნდა ეჩვენებინა ისეთი შედეგი, რომელიც შევიდოდა ქვეყნის 24 საუკეთესო სპორტსმენის მაჩვენებელში.

სსრ კავშირის თასის გათამაშების ახალი წესი საშუალებას იძლევა ყოველმხრივ შემოწმდეს სპორტსმენის მზადყოფნის დონე. ბრასისა და დელფინის სტილით, აგრეთვე, გულაღმა მოცურავეები 50-, 100-, 200- და 400-მეტრიან დისტანციებზე ასპარეზობენ. თავისუფალი სტილით მოცურავეები ორი პროგრამით გამოდიან: სპრინტერები სხვა სახეობების სპეციალისტების პროგრამით ცდიდნენ ძალას, სტაიერები კი 50, 200, 400 და 800 მეტრზე (ქალები), ვაჟები კი — 1500 მეტრზეც.

წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალში, რომელიც ამას წინათ კიევში ჩატარდა, რვეული რესპუბლიკის 8 მოცურავე მოსვდა.

გულაღმა ცურვაში კარგად გამოვიდა ლ. სუინა („განთიადი"). მან 50, 100, 200 და 400 მეტრზე შესაბამისად 33,5, 1.10,9, 2.35,2, 5.21,8 აჩვენა, 100 მეტრზე შეჯიბრებაში მან III ადგილი დიკავა. წინასწარ ტურნირებთან შედარებით შედეგები გააუმჯობესა თავისუფალი სტილით მოცურავე ი. პოტაპოვამ („დინამო") — 31,1, 2.19,6, 4.54,5, 9.97,6, რომელიც სტაიერებში გამოდიოდა. 1500-მეტრიან დისტანციაზე თავი გამოიჩინა ასევე სტაიერმა ი. კუშპელიოვმა („დინამო"), რომელმაც ჭაბუკების და მოზარდების რესპუბლიკური რეკორდები დაამყარა (27,3, 2.05,8, 4.24,3, 17.07,3).

ბატერფლაის სტილით ბრწყინვალედ იასპარეზა გ. გოდერძიშვილმა („განთიადი"), რომელმაც 100 მეტრის გადაცურვას 1.01,0 მოანდომა, ხოლო 200 მეტრზე — 2.15,8 აჩვენა და ვაჟებისთვის ორი ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. დანარჩენ დისტანციებზე გოდერძიშვილის შედეგები ასეთი იყო: — 50 მ — 28,1, 400 მ — 4.53,7. ი. ომელჩენკომ („განთიადი") გულაღმა 100 მეტრის გაცურვას 1.04,6 მოანდომა და მოზარდთა რეკორდი დაამყარა.

ავადმყოფობის გამო თავისი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა ა. ვეჩხაიზერმა („განთიადი") — 30,1, 1.05,4, 2.24,0, 5.08,0. ბრასის სტილით შეჯიბრებაში დაბალი შედეგები ჰქონდა ს. ნედელკოს („განთიადი") — 32,7, 1.11,8, 2.44,3, 5.54,0. ავადმყოფობის გამო ასევე წარუმატებლად გამოვიდა გ. ნიკოლაიშვილი („განთიადი").

ლ. იოსაკიმიდი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

ახლახან გაიმართა საქართველოს მესტენდფრეთა რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი. ამ პლენუმზე აღინიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრგვალ სტენდზე მსროლელებმა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საპრიზო ადგილისთვის უნდა იბრძოლონ. მათ ამისთვის ყველა შესაძლებლობა აქვთ. სპორტის დამსახურებული ოსტატი ტ. ყღინტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თ. მატოიანი და სპორტის ოსტატი თ. იმნაიშვილი საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენენ.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრს თ. იმნაიშვილს, რომელიც წლეულს სსრ კავშირის ნაკრებში ჩაირიცხა. ნაკრების წევრობა მას გაცილებით მეტს ავალებს.

225 მსროლელი...

ბოლო ადგილზე ... ნაკრებ-ნაკრებ ... ნაკრებ-ნაკრებ ... ნაკრებ-ნაკრებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ფასი აქვს ახალგაზრდობას უსპორტოდ?

„ლელოს“ რედაქცია მკითხველებს სთავაზობს ერთ თავს სპორტული ჟურნალისტის ვლადიმერ მდივნის წიგნიდან „ორივე ახალგაზრდები ვიყავით“, რომელსაც უახლოეს ხანში გამოსცემს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

საქართველოში ოციანი წლების დასწყისის ერთ-ერთ გამოცანად მე სპორტით ახალგაზრდობის დიდი დაინტერესება მიმაჩნია. ასე იყო მენშევიკების დროსაც და უფრო გვიანაც, ნეპის პირველ წლებში, სამეურნეო რღვევის დაძლევის წლებში, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ერთი შეხედვით, სპორტისთვის ვის ეცალა. გაჭირვება, შიმშილი. უამრავი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, გადაუდებელი საზრუნავი, რაც მაშინდელმა საერთო მდგომარეობამ შექმნა, რაც გადამწყვეტი იყო მშობლიური ქვეყნის დღევანდელი და ხვალინდელი დღისთვის... მაგრამ, არა!

სად პოულობდა ახალგაზრდობა, ვიმეორებ, უაღრესად დაკავებული სხვა, მომენტის თვალსაზრისით ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ყოველისმომცველი საქმით ნახევრად მშიერი და ნახევრად ტიტველი ახალგაზრდობა სურვილს, ძალას სპორტში სამეცადინოდ? ან როგორ ახერხებდა, სად შოულობდა საკერავ მასალას, ვინ იცის, რას იკლებდა იმისთვის, რომ სპორტული ეკიპირების რთული ამოცანა გადაწყვიტა?

სპორტისადმი მასობრივი ინტერესი როგორღაც ერთბაშად წარმოიშვა. კარგი, ახალგაზრდა ვაჟების ეს გატაცება გასაგები იყო. ქართველ ჭაბუკებს ხომ ოდითგანვე უყვარდათ სისწრაფეში, სიმამაცეში, მოქნილობაში, ძალასა და სიმარდეში შეჯიბრება, უყვარდათ შეჯიბრება — სულ ერთია, სირბილი იქნებოდა ეს, თუ მარიამობა ღამეს კოცონზე გადახტომა, ქარვიით სწრაფი ბედაურებით გამართული ღონღი, ტემპერამენტიანი, შინაგანად რაღაცით ცეკვა „ქართულის“ მონათესავე ჭიდაობა — ჭიდილი ღოლის გამოშვებულ გუგუნში, როცა გარს შემოჯარული ერთიანად ყურადღებად და ნერვებად ქცეული მაყურებლების წინაშე მონაწილენი ერთმანეთს ხელებით ჩაჭიდებულნი თითქოს ცეკვა-ცეკვით ცდილობდნენ მოხერხებული ფანდით ძირს დაენარცხებინათ მეტოქე. ქართველ ახალგაზრდებში ალბათ ერთსაც ვერ იპოვით, რომ ღირსეულად თავის გამოჩენის სურვილი — ძალის მოსინჯვის, ვაჟკაცობითა და სიმამაცით სხვებში გამოჩრჩევის სურვილი არ ჰქონდეს. ასე იყო დასაბამიდან, ახლა ამას დავუმატოთ ის მოკრძალებული სპორტული ტრადიციები, რომელთა დანერგვაც მეფის დროს არსებულმა ტანჯარჯიშულმა საზოგადოება „სოკოლმა“ მოასწრო, და ნათელი გახდება, რაოდენ ნოყიერი ნიადაგი იყო ქუთაისში ვ-ეთა შორის სპორტის განვითარებისთვის. მსოლოდ ეს იყო გასაკვირი: ზოგორ მოგვცა ამ ნოყიერმა ნიადაგმა ასეთ ერთი შეხედვით შეუფერებელ დროს ესოდენ უნვი მოსავალი? ქალაქს უცებ მოედო მოდური მეცადინეობა, ასე ვთქვათ, საშინაო ტანვარჯიშში „მიულერის მიხედვით“ და სხვა ფიზიკური ვარჯიშები. იშვიათი იყო ეზო, სადაც თვითნაკეთი ღერძები და ორძელები არ იდგა, სადაც რგოლები არ ეკიდა, სადაც საზონებს და თვით ვაგონეტების ბორბლებისგან გაკეთებულ შტანგებსაც კი არ ნახავდით. და ამ უეცარ მასობრივ გატაცებას ფიზკულტურით აკვირვებინებდა სწრაფვა „შევარდენისკენ“, სპორტსაზოგადოებისკენ, რომელიც მენშევიკების დროს აღმოცენდა და მყისვე საოცრად პოპულარული გახდა.

ჭაბუკებში ეს გატაცება უფრო გასაგები იყო. მაგრამ გოგონებში? ერთი შეხედვით შეუძლებელი იყო მათი წარმოდგენა სპორტსმენთა რიგებში. ეს თითქოს არც ფსიქოლოგიურად და არც ფიზიკურად არ შეესაბამებოდა მკაცრ ადათ-წესებზე აღზრდილი ქართველი ქალის გარეგნულ სახეს, ჩვევებს, მის წარმოდგენას ქცევის ნორმებზე. საერთოდ, ქართველებისთვის ოდითგანვე დამახასიათებელი ხაზგასმული კრძალვა ქალისადმი ეფუძნებოდა არა მარტო მის სულიერ თანასწორობას კაცთან, რაც ჩვენს ხალხს ძველსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, არამედ იმ რწმენასაც, რომ აუცილებელი იყო პატივისცემა მისი სინაზისა, მისი ფიზიკური სისუსტისა, რომელიც დასაბამს თვით ქალურობაში იღებდა.

შემთხვევითი როდია, რომ დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, ქალს მინდვრის მძიმე სამუშაოს არ გაჯარებდნენ. იგი მხოლოდ რთველში და მოსავლის დაბინავებაში მონაწილეობდა. ასე იყო ოჯახურ მეურნეობაშიც, სადაც ჭიდან წყლის ამოღება და მოტანა, შეშის დაჭრა და სხვა მძიმე საქმე კაცის მოვალეობებში შედიოდა. აბა დაუკვირდით ჩვენს ცეკვებს, სადაც ქალი, სუსტი, უმწეო ქმნილება, მტრედივით დაგოგმანებს და თითქოს მარტო იმისთვის არის გაჩენილი, რომ ვაჟკაცმა რაინდული მფარველობა გაუწიოს, თაყვანი სცეს და ქედი მოუხაროს.

ერთი სიტყვით, სპორტში ვარჯიში კაცის საქმედ ითვლებოდა. და აი, უცებ ყოველგვარ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ, გოგონებმაც თამამად მიაშურეს სპორტს. ამასთან, საკმაოდ მრავალრიცხოვან სკეპტიკოსთა გასაკვირად, ამით ისინი კაცებს როდი დაემგვანენ, პირიქით, ახალი ძალით დაგვანახვეს ქალური მომხიბვლელობა და ჯრაცია. მათ თამამად გადაუგდეს ხელთათმანი მეშჩანურ შეხედულებას წესიერებაზე, გამოიწყვინენ სპორტულ კოსტიუმებში, ასე ჩაცმული გამოდიოდნენ ქუჩებში, დაბიჯებდნენ ქალაქში, მოედნებზე, საჯარო სპორტული გამოსვლების დროს.

ოჰ, ეს კოსტიუმები! წესების ათასნაირ მქადაგებელთ, ნაფტალინის სუნი რომ ასდიოდათ, ჭაბუკებისთვის კიდევ შეეძლოთ ეპატიებინათ შავი შორტები და თეთრი პაპმა ხალათები, ტანვარჯიშული რეიტუზები და მაისურები, მაგრამ ქალთა ფორმაში მათ მხოლოდ საზოგადოების გამხრწნელი უსირცხვილობა დაინახეს.

რითი აღაშფოთებდა ამ ხალხს ეს ფორმა? იქნებ მეტისმეტად გაშიშვლდნენ სპორტსმენები? არა, რას ამბობთ. დღევანდელი კუკლუცების მინი-კაბებთან შედარებით ქუთაისელ გოგონათა სპორტული ფორმები მონაზვნების ჩაცმულობას უფრო ჰგავდა. თეთრი კოფთები, შავი წინდები, დღევანდელი ტრუსების მაგიერ — შარვლები — ნაკეცებიანი, ქვეკით ფართო და მუხლებამდე დაშვებული. ეს უცნაური აღჭურვილობა თითქოს მხოლოდ იმისთვის იყო მოწოდებული, რომ ქალის ფიგურა დაემახინჯებინა, საკულდაგულოდ დაემალა მისი მომხიბვლელობა. მაგრამ პურიტანები მაინც აღშფოთებული იყვნენ. ეს იმიტომ, რომ ამ ხალხს აღაშფოთებდა არა იმდენად სპორტული ტანსაცმელი, რამდენადაც თვითონ ის ფაქტი, რომ ქალს კაბა არ ეცვა, რაშიც ისინი, ასე ვთქვათ, საძირკვლის შერყევას, ზნეობის დაცემას ხედავდნენ.

ახლა ყოველივე ეს სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ აბა მაშინ მოგესმინათ ამ წესიერების დარაჯებისთვის, ოჯახის უფროსებისა და სკოლების ხელმძღვანელებისთვის, რომლებიც მიწასთან ასწორებდნენ ფიზკულტურელებს.

დიდი შეუპოვარი და დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო ქალი, რომ ამ წინააღმდეგობის მიუხედავად, სპორტის გზას გაჰყოლოდა. გაჰყოლოდა გზას არა გაკვალულს და მზამზარეულს, არამედ თვითონვე ეშოვა ბატისტი თეთრი კოფთისთვის და შავი სატინი შარვლისთვის, და არა მარტო ეშოვა, არამედ, მეგობრისთვის რჩევა ეკითხა, წინ თარგი დაედო, ამ თარგზე გამოეჭრა და შეეკერა.

ამოცანას, როგორც ჩანს, აიოლებდა მხარდაჭერა საზოგადოების ზოგიერთი ფენისა, უმეტესად „შევარდნის“ წევრებისა. მაგრამ ეს მხარდაჭერა ხომ მხოლოდ მორალური იყო, მხოლოდ მხნეობას იძლეოდა. ეს მხარდაჭერა საკუთარ დედასთან და მამასთან ვერაფერს გიშველიდა, სკოლის მასწავლებელზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ასე რომ, გოგონებს თვითონვე უნდა დაეცვათ თავიანთი უფლებები, სხვის დაუხმარებლად. ეს არსებითია იმდენად, რამდენადაც სპორტით მათი თავდაპირველი დაინტერესების, მათი პირადი სპორტული მოვაჭეობის მამოძრავებელ ბოტივად შეიძლება ჩაითვალოს თვით სიტკბობა ბრძოლისა, რომელიც საჭირო იყო სპორტში მეცადინეობის უფლების მოპოვებისთვის და ამ საკითხზე არსებულ ცრუ შეხედულებათა გადალახვისთვის. ტრადიციულად დაკანონებული მფარველობა ქალისადმი, როგორც ფიზიკურად სუსტი არსებისადმი, თანდათანობით ერთგვარად ამ სისუსტის კულტად იქცა, რამაც მისი საზოგადოებრივი უფლებების დაცემა გამოიწვია, იქცა წესიერებისა და ზნეობის ისეთ ნორმებად, რაც საგანგებოდ ხელს უშლიდა ქალის ფიზიკურ განვითარებას, ზღუდავდა მის თავისუფლებას და ხარკს უხდიდა ჩამორჩენილობას. ამიტომაც სპორტისადმი ქალის სწრაფვაში პირველ ყოვლისა უნდა დავინახოთ თავისებური ბრძოლა ემანსიპაციისთვის. ვფიქრობთ, დროა გავცეთ პასუხი შეკითხვას, რომელიც რამდენიმე ხნით ადრე დისება:

მაშ ასე, რამ წარმოშვა სპორტისადმი ინტერესი ასეთ, თითქოს შეუფერებელ დროს? მართლა ასე „შეუფერებელი“ იყო ეს დრო თუ პირიქით? მართალია, ძალზე ხელის შემშლელი იყო გაჭირვება და ძალიან ბევრი საზრუნავი დაეწვა მხრებზე ახალგაზრდობას — საკუთარიც და საზოგადოებრივიც. სამაგიეროდ, რევოლუციამ აღვიფებდა სამოქალაქო აქტივობას. მან მისაწვდომი გახადა მანამდე მიუწვდომელი შესაძლებლობები, გაამეფა დაუოკებელი მრავალსახრივი სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისკენ, სრულყოფისკენ, იგი იყო ამ სასწაულის შემოქმედი. ქვეყანაში, რომელიც სამოქალაქო ომის ალში იყო გახვეული, რომელიც უკანასკნელ ძალებს იკრებდა, რათა დაეძარცვინა კონტრრევოლუცია და ნგრევა, მან სიბნელის ტყვეობიდან გაათავისუფლა მილიონობით უბრალო ადამიანის, მათ შორის ქალების შეგნება, ამ ქანცგაწყვეტილ, ნახევრად მშიერ და ნახევრად შიშველ, ყველამდე უამრავ საქმეში ჩაფლულ, მაგრამ მოულოდნელი ზეშთაგონებით ანთებულ, ყოველივე გარემომცველისადმი უდიდესი ინტერესით აღვსილ ხალხს უბიძგა გაუთბობელი სკოლებისკენ, უმაღლესი სასწავლებლებისკენ, მუზეუმებისა და სამხატვრო გალერეებისკენ, დისპუტებისა და ლიტერატურული საღამოებისკენ, ყოველივე იმისკენ, რაც კულტურულად ამდიდრებდა და ატკბობდა მათ. ფიზკულტურისკენ სწრაფვაც ამ სულიერი შიმშილის, მასების უანგარო დაინტერესების გამოსატულება იყო, დაინტერესებისა, რომელიც საფუძვლად დაედო კულტურულ რევოლუციას, ოქტომბრის მიერ მოტანილსა და განპირობებულს.

ფიზკულტურა იქცა მოთხოვნილებად, მისი სპორტული ორგანიზაციები კი გაერთიანებისა და ურთიერთობის იმ ფორმად, რომელიც ძალიან მოსწონდა ახალგაზრდობას და ხელსაყრელიც იყო მისთვის. მაგრამ, თქვენ მეტყვით: რა კავშირი ჰქონდა ყოველივე ამას ჩვენს ქალაქთან, თუკი ფიზკულტურით გატაცება აქაც მენშევიკების დროს დაიწყოო? როდენ საოცრადაც უნდა მოვეჩვენოთ, პირდაპირი, უშუალო კავშირი ჰქონდა, ვინაიდან, მიუხედავად კორდონებისა და იდეოლოგიური ზღუდეების შექმნისა, იმ წლებში აზროვნება საქართველოში მძლავრი საბჭოური გავლენის ქვეშ ვითარდებოდა, ესე იგი, ასევე მასების სულიერი შიმშილისა და სრულყოფის, მათ შორის ფიზიკური სრულყოფის წყურვილის ნიშნით. ქუთაისში ფიზკულტურისადმი ინტერესის წარმოქმნის ასეთი საფუძველი ისევე უდავოა, როგორც ის ფაქტი, რომ მენშევიკებმა სცადეს ეს ინტერესი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

ვ. მდივანი.

(გაგრძელება იქნება)





საინტერესო შეხვედრა

ამას წინათ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრამ შეხვედრა მოუწყო საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრებში გუნდის წევრებს, რომელთაც მეთაურობდა სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, ვარნის მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლის კავალერი გუნდურ პირველობაში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნ. დრონოვა. სტუმრებს მიესალმნენ ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის გამგე, სპორტის ოსტატი თ. სანებლიძე, სპორტთამაშობათა კათედრის უფროსი მასწავლებელი ა. ბურჭულაძე, სტუდენტი ნ. ნიშნიანიძე და სხვ.

შემდეგ ნ. დრონოვამ დამსწრეთ უამბო ვარნის მსოფლიო ჩემპიონატის საინტერესო დეტალებზე, თავის და თანაგუნდელების გამოსვლებზე საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში. როგორც ცნობილია „ამომავალი მზის ქვეყანაში“ ნ. დრონოვამ საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელშიც ბევრი ქვეყნის ტანმოვარჯიშეები გამოდიოდნენ, I ადგილი დაიკავა და თასი მოიხვეჭა.

დასასრულ მოეწყო საჩვენებელი ვარჯიშები.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ნ. დრონოვა იაპონიაში მოხვეჭილი თასით; შუაში — ნ. დრონოვა ტანმოვარჯიშე გოგონებს უზიარებს უცხოეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს; ქვემოთ — საჩვენებელი გამოსვლების ერთი მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

„ბევრი რამ იყო სასიხარულო“...

ლაპარაკობენ ფლეგანდელი სპორტული სეზონის გმირები

— მიმავალ, 1974 წელს ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ იყო სასიხარულო, — უთხრა სპელგანთქმულმა ჰოკეისტმა, ცსკა-ს და სსრ კავშირის ნაკრების კარის დარაჯმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვლადისლავ ტრეტიაკმა საკდესის კორესპონდენტს წინასაახალწლო ინტერვიუში.

— ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მე წილად მხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო ალკ XVII ყრილობის მუშაობაში. ამირჩიეს ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.

დღემდე აუღელვებლად ვერ ვიგონებ ჩემს გამოსვლას ყრილობათა სასახლის ტრიბუნებიდან, როცა კომკავშირის ყრილობის დელეგატებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ეწვივნენ სტუმრად.

მე შეეძელი კარგად მეთამაშა ჰელსინკის მსოფლიო პირველობაში, განსაკუთრებით კი — დაძაბულ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან მეორე წრეში. დამასახელეს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ. მანამდე საბჭოთა მეკარეებიდან ასეთი წოდება მხოლოდ ნიკოლოზ პუჩკოვს ჰქონდა მოპოვებული 1959 წელს. არ დავფარავ, მეამაყება, რომ ჰოკეის საბჭოური სკოლის სახელი არ შევარცხვინე.

ახლახან ბობი ორმა, პროფესიონალმა ჰოკეისტმა, „ბოსტონ ბრიუინსის“ მოთამაშემ, თავის საწვრთნელ ბანაკში მიმიწვია და მთხოვა რამდენიმე საჩვენებელი მეცადინეობა ჩავატარო კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო ახალგაზრდა მეკარეებთან.

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ საყოველთაოდ გავრცელებული იყო აზრი, რომ უმაღლესი კლასის ჰოკეისტი მეკარეები მხოლოდ კანადაში არიანო. როგორ შეიცვალა ყველაფერი სულ მოკლე დროში...

გულახდილად გეტყვით, თავად ნე ჩემი, როგორც მეკარის კლასი კანადელ პროფესიონალებთან 1972 წელს ჩატარებული ურთულესი მატჩების შემდეგ დავიჯერე, ამ შემოდგომაზე კანადელმა პროფესიონალებმა კვლავ მომიწყვეს საფუძვლიანი გამოცდა. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ბობი ჰელის მძლავრი დარტყმები. ვინკუვერში გამართულ მატჩში კანადელ გულშემატკივართა კერპმა სამჯერ გაიტანა გოლი. ისე კი, ცოდვას ვერ ვიტყვი ცუდად არც პროფესიონალებთან ჩატარებულ მეორე „სერიაში“ გვითამაშია.

მე ბევრი წერილი მომდის მოსწავლეებისგან, მეკითხებიან, რა არის საჭირო, რომ ტრენიორი გახდეო. მოკლედ ასე შემიძლია ვუპასუხო: საჭიროა იყო შრომისმოყვარე, დისციპლინიანი და... შაბიისა არ გეშინოდეს.

ბევრი საინტერესო და რთული შეჯიბრება მელის 1975 წელსაც. მინდა ყველა გამოცდა „ფრიადზე“ ჩავაბარო. გარდა ამისა, ჩემი სურვილია, რომ საბჭოთა ჰოკეისტები კვლავ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები იყვნენ, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა წინაოლიმპიურ წელს კვლავ ბევრი საპატიო ჯილდო მოიპოვონ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ვ. დვორცოვი.
(საკდესის კორ.).

ევროპის რეკორდები

მდგომარეობა 1974 წლის 26 დეკემბრისთვის

მძლეოსნობა

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
ვაჟები			
რბენა			
100 მ	10,0	ა. ჰარი (გფრ)	1960
	10,0	რ. ბამგიუკი (საფრანგეთი)	1968
	10,0	ვ. საპეია (სსრ კავშირი)	1968
	10,0	ვ. ბორზოვი (სსრ კავშირი)	1969
	10,0	ბ. მეტცი (გფრ)	1970
	10,0	მ. კოკოტი (გდრ)	1971
	10,0	ვ. პაპაგეორგოპულოსი (საბერძნეთი)	1972
	10,0	ჯ. მენეა (იტალია)	1972
	10,0	რ. ვილენი (ფინეთი)	1973
	10,0	ა. კორნელიუკი (სსრ კავშირი)	1973
	10,0	მ. დრეზე (გდრ)	1973
	10,0	ხ.-ი. ბოგგახი (გდრ)	1973
	10,0	ზ. შენკე (გდრ)	1973
200 მ	20,0	ვ. ბორზოვი (სსრ კავშირი)	1972
400 მ	44,7	კ. ჯონეი (გფრ)	1972
800 მ	1.43,7	მ. ფიასკონარო (იტალია)	1973
1500 მ	3.34.0	ჟ. ვადუ (საფრანგეთი)	1970
5000 მ	13.13,0	ე. პუტემანსი (ბელგია)	1972
10000 მ	27.30,8	დ. ბედფორდი (დიდი ბრიტანეთი)	1973
მარათონი (მიღწევა)	2:09.28,0	რ. ჰილი (დიდი ბრიტანეთი)	1970
ესტაფეტა			
4×100 მ	38,4	საფრანგეთის ნაკრები	1968
4×400 მ	3.00,5	გფრ-ის ნაკრები	1968
თარჯრბენი			
110 მ	13,2	მ. ლაუერი (გფრ)	1959
	13,2	გ. დრიუ (საფრანგეთი)	1974
400 მ	48,1	დ. ჰემერი (დიდი ბრიტანეთი)	1968
3000 მ წინაღობებით	8.14,2	ა. გერდერუდი (შვეცია)	1974
ხტომა			
სიმაღლეზე	228	ვ. ბრუმელი (სსრ კავშირი)	1968
სიგრძეზე	835	ი. ტერ-ოვანესიანი (სსრ კავშირი)	1967
	835	ი. შვარცი (გფრ)	1970
სამხტომი	17,44	ვ. სანეევი (სსრ კავშირი)	1972
ჭოკით	555	ჩ. იზაქსონი (შვეცია)	1972
ტყორცნა			
ბადრო	68,40	რ. ბრუხი (შვეცია)	1972
შუბი	94,08	კ. ვოლფერმანი (გფრ)	1973
ურო	76,66	ა. სპირიდონოვი (სსრ კავშირი)	1974
ბირთვი	21,70	ა. ბარიშნიკოვი (სსრ კავშირი)	1974
სპორტული სიარული			
მიღწევა			
20 კმ (სტადიონზე)	1:23,30,0	ჯ. ფრენკელი (გდრ)	1974
50 კმ (სტადიონის გარეთ)	3:52.44,6	ბ. კანენბერგი (გფრ)	1972
ათჯიდი	8454	ნ. ავილოვი (სსრ კავშირი)	1972
ქალები			
რბენა			
100 მ	10,8	რ. შტეჯერი (გდრ)	1973
200 მ	22,0	ი. შევინსკა (პოლონეთი)	1974
400 მ	49,9	ი. შევინსკა (პოლონეთი)	1974
800 მ	1.57,5	ს. ზლატევა (ბულგარეთი)	1973
1500 მ	4.01,4	ლ. ბრაგინა (სსრ კავშირი)	1972
3000 მ	8.52,14	ლ. ბრაგინა (სსრ კავშირი)	1974
ესტაფეტა			
4×100 მ	42,6	გდრ-ის ნაკრები	1973
4×400 მ	3.23,0	გდრ-ის ნაკრები	1972
თარჯრბენი			
100 მ	12,3	ა. ერჯარდტი (გდრ)	1973
200 მ	25,8	ა. ერჯარდტი (გდრ)	1970
	25,8	ტ. სუჯევიჩი (პოლონეთი)	1970
ხტომა			
სიმაღლეზე	195	რ. ვიტჩასი (გდრ)	1974
სიგრძეზე	684	ჰ. როზენდალი (გფრ)	1970
ტყორცნა			
ბადრო	69,90	ფ. მელნიკი (სსრ კავშირი)	1974
შუბი	67,22	რ. ფუქსი (გდრ)	1974
ბირთვი	21,57	ე. ფიბინგეროვა (ჩეხოსლოვაკია)	1974
ხუთჯიდი	4932	ბ. პოლაკი (გდრ)	1973

ირენა შევინსკას სახელი დღეს მძლეოსნობის ყველაზე გულგრილ მოყვარულებსაც კი აქვთ გაგონილი. პოლონეთის ნაკრების ეს შესანიშნავი წარმომადგენელი კარგა ხანია სარბენ ბილიკებს არ შორდება და შედეგებს თითქმის ყოველწლიურად აუმჯობესებს. წლეულს მან 200 და 400 მეტრზე ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდები დაამყარა. იგი პირველი ქალია, რომელმაც 400 მეტრზე რბენაში 50 წამის ზღვარი გადალახა.

— წლებს თავისი მიაქვთ. ძალიან მინდა მონრეალის ოლიმპიადაშიც მივიღო მონაწილეობა და შინ ხელცარიელი არ დავბრუნდე. ვფიქრობ, იმედი გამიმართლდება. ამის გარანტიას გულმოდგინე მუშაობა და წლევანდელი შედეგები მაძლევს, — უთხრა შევინსკამ პოლონელ ჟურნალისტებს.

• • •

სურათზე: ი. შევინსკა ასპარეზობის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწინაურდა მიხაილოვსკაია

ამსტერდამში მიმდინარეობს მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში ქალთა შორის. ტურნირში წარმატებით თამაშობს სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, 25 წლის ე. მიხაილოვსკაია (მოსკოვი). 6 ტურის შემდეგ მას 5,5 ქულა აქვს.

ჩემპიონატში მონაწილეობს კიდევ ერთი საბჭოთა მოშაშე — ლენინგრადელი ი. სპასკაია. იგი III ადგილზეა.

მხოლოდ ნახევარი ქულით

საახალწლო საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ამჯერად ამსტერდამი მასპინძლობს, ლიდერობა ხელთ იგდეს დიდოსტატებმა ხ. ვირსმამ (ჰოლანდია) და ბაბა სიმ (სენეგალი). თითოეულს 6-დან 4,5 ქულა აქვს. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ი. კუპერმანი (სსრ კავშირი).

დოპინგს — მკაცრი კონტროლი

ამას წინათ ბარსელონაში გაიმართა ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) მედიკოსთა კონგრესი, რომელშიც 48 ქვეყნის 200 დელეგატი მონაწილეობდა. კონგრესზე მოისმინეს 30 მოხსენება, რომლებიც ცურვაში დოპინგისა და სხვა აღმგზნები საშუალებების გამოყენების შავნე შედეგებსა და მისი აკრძალვის აუცილებლობას ეხებოდა.

როგორც ცნობილია, ფინა-ს მედიკოსთა კომიტეტმა მექსიკისა და მიუნჰენის ოლიმპიადებში, აგრეთვე, ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატში მოცურავეებზე მკაცრი ანტისადოპინგო კონტროლი დააწესა. შემდეგ კომიტეტმა დაამუშავა და ბარსელონაში კონგრესს დასამტკიცებლად წარუდგინა დოპინგისა და სხვა აღმგზნებ საშუალებათა გამოყენების საწინააღმდეგო ღონისძიებანი.

ეს გადაწყვეტილებანი კრძალავს მოცურავეთა, წყალში მხტომელთა და წყალბურთელთა ყველა მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებებში მასტიმულირებელი საშუალებების მიღებას.

კონგრესის მონაწილეები — მეცნიერები, სპორტული ექიმები, ფიზიოლოგები, მოხსენებებში, განცხადებებსა და გამოსვლებში ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მოცურავეებს აღმგზნები საშუალებანი, მართალია, მაღალი სპორტული შედეგების მოპოვებაში ეხმარება, მაგრამ ძალიან უარყოფითად მოქმედებს მათს ჯანმრთელობაზე, ამასთან, აუფერულებს სპორტულ ბრძოლას. ისიც ითქვა, რომ მოცურავეთა წვრთნისას აუცილებელია სამედიცინო კონტროლი, განსაკუთრებით მოზარდთა ვარჯიშის დროს, რათა უფრო იოლი გახდეს წვრთნის ეფექტიანობის ფორმების დადგენა.

კონგრესმა გადაწყვიტა კონტროლი კვლავაც არ შეწყვიტოს და თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს ცურვაში II მსოფლიოს ჩემპიონატზე. როგორც ცნობილია, ეს შეჯიბრება გაისად ქალაქში (კოლუმბია) გაიმართება.

სტარტზეა ოთხი ტრამპლინის ტურნე

29 დეკემბერს ობერსტდორფში (გფრ) სტარტს აიღებს „მფრინავ მოთხილამურეთა“ ზამთრის სეზონის ერთ-ერთი საინტერესო და პოპულარული ასპარეზობა — ოთხი ტრამპლინის ტურნე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 100-მდე უძლიერესი სპორტსმენი. სსრ კავშირის ნაკრებს მეთაურობს ახლახან გორკში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული ლენინგრადელი ი. კალინინი.

ობერსტდორფიდან ოთხი ტრამპლინის ტურნეს მონაწილეები გაემგზავრებიან დასავლეთ გერმანიის ქალაქ გარმიშ-პარტენკირჩენში და 1 იანვარს კვლავ ჩაებმებიან შეჯიბრებაში. 3 იანვარს „მფრინავ მოთხილამურეებს“ უმასპინძლებს მომავალი ზამთრის ოლიმპიადის ქალაქი ინსბრუკი. მეოთხე მასპინძლის ვინაობა ამ დღეებში დადგინდება.

სსრ კავშირის სპორტსმენების გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ავსტრიის, გდრ-ის, გფრ-ის, იაპონიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. მონაწილეთა შორის იქნება შარშანდელ ტურნეში გამარჯვებული მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 22 წლის ჰ.-გ. აშენბახი (გდრ).

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 27 დეკემბერს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

26 დეკემბერს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კონფერენციის დარბაზში მოწვეულია მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 15 ს.

27 დეკემბერს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საქტო დარბაზში გაიმართება **ფრენბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.**

დასაწყისი 16 ს.

27 დეკემბერს

თბილისში, ალპიურ კლუბში გაიმართება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს V პლენუმი.

დასაწყისი 12 ს.

28 დეკემბერს

ალპიურ კლუბში **ჩატარდება რეგბის რესპუბლიკური ფედერაციის საანგარიშო პლენუმი.**

დასაწყისი 12 ს.

28 დეკემბერს

ალპიურ კლუბში გაიმართება კრივის რესპუბლიკური ფედერაციის საანგარიშო კრება.

დასაწყისი 12 ს.

ლელო
ბრძოლა ჯანმრთელობისა

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380098. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და მშრომელის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მეცნიერული ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ევროპის ფეხბურთის ჯვაჯვა

შიონს ცვლის დორვალი

მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელი შიონი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ფეხბურთელი იყო, ბედნიერად გადაურჩა მუხლისთავის ტრადიციულ ტრავმას. შემდეგ იგი მწვრთნელი გახდა და ტრავმები თითქოს აღარ ემუქრებოდა, მაგრამ...

ამ რამდენიმე ხნის წინ ამ ასაკოვანმა მწვრთნელმა ვარჯიშის დროს მუხლისთავის ტრავმა მიიღო, მკურნალობს და დროებით გამოეთხოვა გფრ-ის ნაკრებს. ახლა მას ცვლის ი. დორვალი, რომელიც ადრე რამდენიმე წლის მანძილზე სათავეში ედგა გფრ-ის სამოყვარულო ნაკრებს.

კრუიფი: „აიაქსში“ დაბრუნდები!

მას შემდეგ, რაც ჰოლანდიის „აიაქსი“ დამარცხდა იტალიის „იუვენტუსთან“ და ჩემპიონთა თასის გათამაშებას გამოეთიშა, „აიაქსის“ ხელმძღვანელობამ საგანგებო ღონისძიებათა გატარება გადაწყვიტა. კლუბის პრეზიდენტმა ვან პრაგმა განაცხადა: კრუიფის გარეშე არაფერი გამოდის. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, დავიბრუნებთ მას.

ამას იტალიის „ნაპოლის“ პრეზიდენტ ფერლანის ინტერვიუ მოაყვა: „როგორც კი გაიხსნება საზღვრები (ახლა იტალიის კლუბებს ნება არა აქვთ იყიდონ უცხოელი ფეხბურთელები), მყისვე მოვიწვევთ კრუიფს. იმდენს მივცემთ, რამდენიც არც ერთ ფეხბურთელს არ მიუღია — 2 მილიარდ ლირას“.

ლონდონის „არსენალის“ დირექტორატმაც განაცხადა, რომ 1975 წელს ისიც იწვევს კრუიფს.

რას ფიქრობს თვით ფეხბურთელი?

— „ბარსელონა“, „ნაპოლი“, „არსენალი“ — სახელოვანი კლუბებია, მაგრამ დავამთავრებ თუ არა კონტრაქტს „ბარსელონასთან“, დავბრუნდები „აიაქსში“. ეს 1976 წელს მოხდება.

მილუტინოვიჩი მექსიკაში

წარსულში გამოჩენილმა იუგოსლავიელმა თავდამსხმელმა მ. მილუტინოვიჩმა ხელი მოაწერა 4-წლიან კონტრაქტს მექსიკის კლუბ „ატლანტასთან“ (გვადალაჰარა). შილუტინოვიჩი ამ კლუბის მთავარი მწვრთნელი იქნება. „ატლანტას“ ხელმძღვანელობა მისი შემწეობით იმედოვნებს იბრძოლოს რესპუბლიკის ჩემპიონობისთვის.

მილოშის უმცროსი ძმა ბორა ახლაც თამაშობს ფეხბურთს „მეხიკო-სიტიში“. უფროსი ძმის მექსიკაში გადასვლა სწორედ მისი ინიციატივით მოხდა.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02914